ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №274

ქ. თბილისი

17 მაისი 2018 წელი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი” პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი

“პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის “სპექტრი” წესდების მე-5 მუხლის “ე” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი” პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი №1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების გაცნობა შესაბამისი პირებისათვის უზრუნველყოს კოლეჯის საქმისმწარმოებელმა ინა ქვრივიშვილმა.
3. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე – ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

კოლეჯის დირექტორი

როინ ტაკიძე

დანართი 1

დამტკიცებულია
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ~სპექტრი~
დირექტორის 2018 წლის 17 მაისის
№---274--- ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში ,,სპექტრი" პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი

პრეამბულა

ეს წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი" პროფესიული პროგრამებისა და მოდულების შემუშავებასთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება მათი დაგეგმვის, შედგენის, ცვლილებების, დახვეწის, ადაპტირების და დამტკიცებულ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.

მუხლი 1. შესავალი, წესში გამოყენებული ტერმინები და ტერმინთა განმარტება.

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი კოლეჯი ,,სპექტრი" (შემდგომში - „კოლეჯი");

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი - (შემდგომში „ცენტრი");

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი - (შემდგომში „ექსპერტი");

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – (შემდგომში - „პროგრამა"). კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სსიპ – საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი" შემუშავებული საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს;

ე) პროფესიული სტანდარტი - (შემდგომში „სტანდარტი") - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, პროფესიული მოვალეობები, ამოცანები, პროფესიული ცოდნა და უნარები, აგრეთვე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები;

ვ) მოდული – სწავლების დამოუკიდებელი, თანამიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებასა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

ზ) პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო – ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული პროფესიული განათლების შესაბამისი ყველა კვალიფიკაცია;

თ) ინიციატივა - პროფესიული პროგრამის/მოდულის შემუშავების ან/და არსებულში ცვლილების მოთხოვნა დაინტერესებული პირის მიერ. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებული პირი არის ინიციატორი;

ი) დაინტერესებული პირი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი;

კ) კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი - (შემდგომში „მასწავლებელი“);

ლ) ტექნიკური ცვლილება - კოლეჯში დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო და კალენდარული გეგმის ცვლილება, კერძოდ, მოდულის დამხმარე ჩანაწერების, ტექსტის, კვირეული დატვირთვის, საათების (თეორიული-პრაქტიკული-დამოუკიდებელი) განაწილების და ტექნიკური შეცდომების შესწორება;

მ) მეთოდური ცვლილება - ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების სტრუქტურის, მოდულის ზოგად და სტანდარტულ ჩანაწერებში ცვლილება;

ნ) კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - (შემდგომში „ბრძანება).

მუხლი 2. პროფესიული პროგრამის/მოდულის შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა.

1. კოლეჯში განსახორციელებელი პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება, ქვეყნის განვითარების სტრატეგიასა და პრიორიტეტებს, რაიონში არსებული საწარმოების და რაიონის სპეციფიკას, დაწესებულების გამოცდილებას, საზოგადოების მხრიდან მოთხოვნას, ასევე შრომის ბაზრის - დამსაქმებელთა მოთხოვნ(ებ)ის და მასწავლებლ(ებ)ის მოთხოვნ(ებ)ის ანალიზს, ან/და პროფესიულ სტუდენტთა ან/და კურსდამთავრებულთა ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი მასწავლებლ(ებ)ისათვის აწყობს ცენტრის მიერ დამტკიცებული პროგრამ(ებ)ის ჩარჩო დოკუმენტ(ებ)ის და მოდულების გაცნობა/ინფორმირებას.

3. კოლეჯის მიერ შერჩეული პროგრამის ფარგლებში ხარისხის მართვის მენეჯერი მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს მოდულ(ებ)ის ადაპტირებას, კერძოდ, ცენტრის მიერ დამტკიცებული მოდულ(ებ)ის დამხმარე ჩანაწერებს ცვლის კოლეჯის მიდგომების შესაბამისად. ასევე, ადგენს სასწავლო და კალენდარულ გეგმას, მიჯნავს თეორიული და პრაქტიკული ნაწილის თემატიკას, გაწერს შეფასების ინსტრუმენტებს და შესრულების მტკიცებულებებს დარგის სპეციფიკისა და კოლეჯის მიდგომების გათვალისწინებით. მოდულური პროგრამის ადაპტირებაში, ასევე შესაძლებელია ჩართული იყოს დამსაქმებელ(ებ)ი ან/და საწარმოო პრაქტიკის მონაწილე სუბიექტ(ებ)ი.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტში მითითებული პროცედურების გავლის შემდგომ ხარისხის მართვის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროგრამას/მოდულს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული პროგრამა/მოდული მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. პროფესიული პროგრამასა და მოდულში ცვლილებების შეტანის პროცედურა

1. კოლეჯში დამტკიცებულ პროგრამაში და მოდულ(ებ)ში ტექნიკური ცვლილებების შეტანის საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას ნებისმიერი დაინტერესებული პირის ინიციატივით.

2. კოლეჯში დამტკიცებულ პროფესიულ პროგრამაში და მოდულ(ებ)ში შესატან ტექნიკურ ცვლილებას განიხილავს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი და სამსახურებრივი ბარათით დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. ამგვარი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება ცვლილება.

3. ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტში, პროგრამაში და მოდულ(ებ)ში შესატან მეთოდურ ცვლილებას ინიციატორი წარადგენს ცენტრში, ცენტრის მიერ დადგენილი შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით.

მუხლი 4. კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების განსაზღვრა.

1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როდესაც:

ა) სსმ/შშმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსულ სსმ/შშმ ან სხვა პირს მისაღწევი აქვს სწავლის შედეგები, რომლის მიღწევაც არ უდასტურდება მიმღებ დაწესებულებაში გადმოსვლამდე;

გ) პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვას და ამის შესახებ განცხადებით მიმართავს კოლეჯს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით მასწავლებელი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვება. ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერის და შესაბამისი მასწავლებლის მიერ ხორციელდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში, რის საფუძველზეც 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და აცნობენ სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს, რომელიც შეიმუშავებს ადაპტირებულ სასწავლო ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად, რათა მოხდეს სტატუსაღდგენილი სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვა ასათვისებელი სასწავლო კურსების/მოდულების წინაპირობების დაცვით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და შესაბამისი მასწავლებელი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასა და სასწავლო ცხრილს დასამტკიცებლად წარუდგენენ კოლეჯის დირექტორს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სასწავლო ცხრილი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. პროფესიული პროგრამის ან/და მოდული გაუქმება და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წეს(ებ)ში ცვლილების შეტანის პროცედურა

1. პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

ა) თუ გაუქმდა შესაბამისი პროფესიული სტანდარტი/პროგრამა;

ბ) თუ პროგრამაზე გამოცხადებული იყო სტუდენტების მიღება დადგენილი ადგილების (ქვოტის) შესაბამისად, მაგრამ ერთი სასწავლო წლის მანძილზე არ დარეგისტრირებულა გამოცხადებული ქვოტის 20%-ზე მეტი რაოდენობის აპლიკანტი;

2. ამ მუხლის პირველ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტში მითითებული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში პროფესიული პროგრამის გაუქმების შესახებ ინიცირებას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ინიცირების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ხორციელდება პროგრამის გაუქმება.

4. კოლეჯში დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესებში შესაძლებელია ცვლილების შეტანა:

ა) თუ ცვლილება განპირობებულია შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის და დებულებების ცვლილებით;

ბ) თუ ცვლილება განპირობებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნით;

გ) თუ ცვლილების განპირობებულია ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით;

დ) თუ ცვლილების ინიცირებას ახდენს დაინტერესებული პირი და არგუმენტირებული, დასაბუთებული წინადადებით მიმართავს კოლეჯს ცვლილების მოთხოვნით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ" ქვეპუნქტში მითითებული ინიციატივას განიხილავს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, იურისტი და ხარისხის მართვის მენეჯერი კომპეტენციის ფარგლებში და განხილვის შედეგად კოლეჯის დირექტორის მოადგილე წერს დასკვნას და სამსახურებრივი ბარათით წარუდგენას კოლეჯის დირექტორს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული დასკვნის საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ბრძანებით მიიღება გადაწყვეტილება მოთხოვნილი ცვლილების გათვალისწინების ან არ გათვალისწინების შესახებ.